

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N098/16<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*სტუდენტი ეკატერინე ჯინჭარაძე*

### ფაქტები

2015 წლის 6 ოქტომბერს საჩივრის ავტორსა და იურიდიული კომპანიის დირექტორს შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. საჩივრის ავტორის ინტერესები სასამართლოში უნდა დაეცვა ამ კომპანიის ერთ-ერთ ადვოკატს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა სადავოდ გახადა ჰონორარი, როგორც ზეპირი შეთანხმებისგან განსხვავებული და გაზრდილი ფასი, (ზეპირი შეთანხმებით-500 ლარი, ხელშეკრულებაში ეწერა-700 ლარი). ასევე, საადვოკატო ბიუროს მხრიდან გაწეული არაკვალიფიციური მომსახურება, რაც გამოიხატა საადვოკატო ბიუროს მიერ საჩივრის ავტორის ბებიის მისამართზე გაგზავნილი წერილით, რომელსაც ადრესატის სახით ეწერა საჩივრის ავტორის დეიდის სახელი. საჩივრის ავტორის თქმით, გამჟღავნდა კონფიდენციალური ინფორმაცია, რამაც ოჯახში კონფლიქტი გამოიწვია, რითაც მას მიადგა ზიანი. ადვოკატმა განმარტა, რომ ის და მისი კომპანია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით, რადგან იგი თავიდანვე იყო ცნობილი და შეთანხმებული კლიენტთან, ასევე მომჩივანი გაეცნო ხელშეკრულებას, სადაც მკაფიოდ იყო გაწერილი ხელშეკრულების საგანიც და ფასიც, ასევე წარმომადგენლობითი მინდობილობა გაფორმდა კომპანიის ერთ-ერთ ადვოკატთან. ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ მომჩივანი მართლაც იმყოფებოდა ორგანიზაციის ოფისში და მოითხოვდა მომსახურების თანხის გადახდის გადავადებას. ადვოკატმა განმარტა, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია არ გამჟღავნებულა და მას არც ამის მიზანი ჰქონია. კომპანიამ ორჯერ გაუგზავნა საჩივრის ავტორს წერილი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, მაგრამ ადრესატმა არ ჩაიბარა. ამასთან, კომპანიამ ბევრჯერ სცადა მომჩივნის საკონტაქტო ნომერზე დაკავშირება, რაც უშედეგო აღმოჩნდა. მესამედ, წერილი უნდა გეგზავნათ საჩივრის ავტორის დეიდისთვის, რათა საჩივრის ავტორს წერილი როგორმე მიეღო, თუმცა მოხდა ტექნიკური შეცდომა და ადრესატის სახელში დეიდის ნაცვლად ჩაიწერა დეიდის სახელი. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ წერილში ხელშეკრულებით ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებაზე იყო საუბარი და წერილის არც ერთ მონაკვეთში, საუბარი არ ეხებოდა და ვერც შეეხებოდა დავის შინაარსობრივ მხარეს.

### პროცედურული ისტორია

2016 წლის 29 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება. 2017 წლის 10 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, რადგან შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ ადვოკატს არ დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს არ დაურღვევია შემდეგი ნორმები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1.

<sup>1</sup> [https://gba.ge/pdf/5c63fe28409e1.pdf/098-16\\_12.07.2017%20gamartleba.pdf](https://gba.ge/pdf/5c63fe28409e1.pdf/098-16_12.07.2017%20gamartleba.pdf)



ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა იწყება ურთიერთშეთანხმებით, (აპეკ მუხლი 8.1) რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი შეთანხმების ფორმით. ადვოკატი კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის დაწყებიდანვე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოიშვა განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რომელშიც მთავარია ადვოკატის მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა გასული დროის მიუხედავად. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

განხილვის კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არის იურიდიული კომპანიის დირექტორი და ის, როგორც ამავე კომპანიის წარმომადგენელი, ხელს აწერს საჩივრის ავტორთან, როგორც კომპანიის კლიენტთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას. განხილვის კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო არ ვრცელდება იურიდიული კომპანიის საქმიანობაზე, არამედ ვრცელდება ადვოკატებზე. განხილვის კოლეგიამ განმარტა, რომ კომპანიის დირექტორი - ადვოკატი ხელს აწერს საჩივრის ავტორის სახელზე გაგზავნილ „მიმართვას“, თუმცა კომპანიის მიერ გზავნილის ადრესატად მიეთითა საჩივრის ავტორის დეიდა, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ დაშვებულ ტექნიკურ შეცდომას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ დადგინდა ადვოკატის მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევის ფაქტი.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ ადვოკატს არ დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან არ დადგინდა ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტი.